№ 00000565

02/07/2024

ბრძანება №565
შპს "თეგეტა აკადემიის" პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებისა და შეფასების წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გაუქმდეს შპს "თეგეტა აკადემიის" დირექტორის 2023 წლის 03 მარტს დამტკიცებული ბრძნება №434[2] შპს "თეგეტა აკადემიის" პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებისა და შეფასების წესის შესახებ.

2. დამტკიცდეს შპს "თეგეტა აკადემიის" პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებისა და შეფასების წესი ახალი რედაქციით წინამდებარე ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
სიხარულიძე ოთარი

შპს „თეგეტა აკადემია“

შპს „თეგეტა აკადემიის“ პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების წესი

ქ. თბილისი

2024 წელი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის გამოყენების სფერო;

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შეფასების მიზნით სტუდენტის მიღწევების შეფასების წესს;
2. ამ წესის გამოყენება სავალდებულოა დაწესებულების მიერ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინების განმარტებები

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო მოდულებს. პროგრამით განისაზღვრება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები;
2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი** – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი;
3. **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით და დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
4. **მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი, თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევ სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
5. **სწავლის შედეგები** – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა, უნარები ან/და ღირებულებები;
6. **პროგრამის კომპონენტი** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი: ცალკეული მოდული, სასწავლო / საწარმოო პრაქტიკა ან გაცნობითი პრაქტიკა;
7. **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
8. შემფასებელი - კომპეტენტური პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც ამ დოკუმენტით დადგენილი წესით აფასებს პირის მიერ სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევას.
9. **შესაფასებელი პირი** - პროფესიული სტუდენტი, ასევე პირი, რომელიც არაფორმალური/ინფორმალური განათლების აღიარების მიზნით მიმართავს აკადემიას;
10. **დუალური სწავლება** - დაწესებულებისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტის მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში.

11. **კოოპერაციული სწავლება** - დაწესებულებისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სუბიექტის მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში, გარდა ამავე დადგენილებით შეზღუდული შემთხვევებისა.
12. **ვერიფიკაცია** – შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების მტკიცებულებების შესაბამისობის დადასტურება.

თავი II. შეფასება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამების ფარგლებში

მუხლი 3. შეფასების სისტემასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისას კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება ამ დოკუმენტით, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით, პროგრამით ან/და მოდულით.
2. შეფასებისას გამოიყენება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება, რაც გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობების (კომპეტენციის) შეფასებას, მოდულით წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.
3. მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად, პროფესიული სტუდენტი დადებითად უნდა შეფასდეს ყველა სწავლის შედეგის ფარგლებში. დადებითად შეფასება ნიშნავს სწავლის შედეგის დადასტურებას.
4. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირის მიერ დადასტურდება შეფასების ყველა კრიტერიუმი.
5. პროფესიული სტუდენტისათვის კრედიტის მინიჭება ხორციელდება მხოლოდ სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
6. აკადემიაში შესაძლებელია ერთი მოდულის ფარგლებში რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურებაც.
7. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში, კვალიფიკაციის მინიჭებისთვის დამატებითი პირობაა პროფესიულ სტუდენტთა მიერ შუალედური გამოცდის ჩაბარება.
8. აკადემიის ყველა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა გავრცელდება 2024 წლის მიღების ფარგლებში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.
9. აკადემია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება 2023 წელს ჩარიცხულ სტუდენტებთან შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შესახებ და იხელმძღვანელოს წინამდებარე წესით.

მუხლი 4. შეფასების სისტემა და პრინციპები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის შეფასებისას, გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
2. მოდულის განმახორციელებლი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების პრინციპის შესახებ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს;
3. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასება

ითვალისწინებს მხოლოდ კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობა - შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისთვის, რაც ფასდება. შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

ბ) სანდოობა - შეფასების სისტემა არის სანდო, იმ შემთხვევაში, თუ სათანადო მტკიცებულებებით არის გამყარებული შეფასების შედეგები.

გ) გამჭვირვალობა - შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, თუ შეფასების პროცესი და დადასტურებისთვის განსაზღვრული პირობები, მოთხოვნები და შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი და დაინტერესებული პირისთვის.

დ) სამართლიანობა - სამართლიანია შეფასების სისტემა, იმ შემთხვევაში თუ შეფასების პროცესი საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (იგულისხმება ორგანიზებულობა, კერძოდ, შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები და სხვა პირობები). ასევე მაშინ, როცა შეფასების დროს ყველა შესაფასებელი პირი თანაბარ პირობებში იმყოფება.

ე) ობიექტურობა - ობიექტურია შეფასების სისტემა, მაშინ, როცა ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

მუხლი 5. სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურება (განმეორებითი შეფასება)

1. განმსაზღვრელი შეფასებისას სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს, აკადემიის დირექტორისადმი წერილობითი განცხადებით მიმართვის საფუძველზე, უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი დადასტურების შესაძლებლობა სწავლის შედეგის შესაბამისი მოდულის განხორციელების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. პროგრამის დასრულებამდე, თუ ის არ წარმოადგენს შემდეგი მოდულის/მოდულების გავლის წინაპირობას; ხოლო წინაპირობის არსებობის შემთხვევაში, მოდულის დაწყებამდე.
2. განცხადების წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, აკადემიის დირექტორის თანხმობით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია განსაზღვროს განმეორებითი შეფასების ვადები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
3. სტუდენტს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში უნდა მიეცეს ერთხელ.
4. სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურებისთვის განსაზღვრულ/შეთანხმებულ თარიღში პროფესიული სტუდენტის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წინაპირობას.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის გამოუცხადებლობა გამოწვეულია საპატიო მიზეზით, პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურად განესაზღვრება სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურების ვადა.

მუხლი 6. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

6.1. სასწავლო პროცესი საწარმოში

1. პროფესიული სტუდენტის სწავლების პროცესს საწარმოში უძღვება საწარმოს მიერ სპეციალურად

გამოყოფილი პირი - ინსტრუქტორი. საწარმოში სასწავლო პროცესის განხორციელების დროს საწარმოსა და სტუდენტს შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფორმდება შრომითი ან სამუშაოს შესრულების/მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება.

2. საწარმოს მიერ ბრძანებით გამოიყოფა შესაბამისი რაოდენობის კვალიფიციური ინსტრუქტორი სწავლებისთვის. გამოყოფილი თითო ინსტრუქტორი ახორციელებს არაუმეტეს 3 სტუდენტის პრაქტიკული საქმიანობის ხელმძღვანელობას. სტუდენტების ინსტრუქტორისთვის მიმაგრებას უზრუნველყოფს საწარმო აკადემიასთან შეთანხმებით.
3. მრავალფეროვანი საქმიანობის განხორციელების მიზნით, ყველა სტუდენტს ყოველი თვის ბოლოს ეცვლება ინსტრუქტორი.
4. დუალური სწავლების სახით პროგრამის განხორციელებისას პროფესიული სტუდენტი აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს, რომლის ფორმა დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ და რომლის ნიმუშიც თან ერთვის წინამდებარე წესს დანართის N1.1 სახით.
5. ჩანაწერების ჟურნალი შედგება სამი ნაწილისგან:

   ა) პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის, სასწავლო საწარმოსა და სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორის შესახებ. პირველი ნაწილის შევსებას უზრუნველყოფენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება/სასწავლო საწარმო ან მასში ინფორმაცია აისახება ავტომატურად, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან.

   ბ) მეორე ნაწილში აისახება ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო საწარმოში მისაღწევი და მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ. აღნიშნულ ნაწილში მოდულების დასახელების, სწავლის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების შევსებას უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება, ხოლო სწავლის შედეგების დადასტურებას/არდადასტურებას - სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი.

   გ) მესამე ნაწილში აისახება ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო საწარმოში შესრულებული საქმიანობის შესახებ. მესამე ნაწილის შევსებას უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტი ყოველ სამუშაო დღეს. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ასახოს ყველა ის აქტივობა, რაც შესაბამისი სამუშაო დღის განმავლობაში შეასრულა, ასევე, სამუშაო ადგილზე მისვლისა და სამუშაო ადგილის დატოვების დრო. ჩანაწერების ჟურნალი გათვალისწინებულია ყოველი პროფესიული სტუდენტის თვითრეფლექსიისთვის და სხვა ჩანაწერებისთვის, რომელშიც პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ასახოს საკუთარ თავზე და საქმიანობაზე დაკვირვების შედეგები და ანალიზი, ასევე, სხვა ინფორმაცია (მაგ., სამუშაოს ჩატარების დროს მიღებული გამოცდილება და სხვა).
6. ჩანაწერების ჟურნალი პროფესიული სტუდენტის მიერ უნდა ივსებოდეს რეგულარულად.
7. ჩანაწერების ჟურნალში აღირიცხება პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობები სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების ნაწილში. ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებას.
8. სტუდენტი ვალდებულია სრულყოფილად შეავსოს ჩანაწერების ჟურნალის ყველა ველი. იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალი არ იქნება სრულყოფილად შევსებული ან საერთოდ არ იქნება შევსებული, სტუდენტს მიეცემა გაფრთხილება.
9. სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, მინიმუმ თვეში ერთხელ ამოწმებს ჩანაწერების ჟურნალში ჩანაწერების არსებობას, სისრულესა და მართებულობას. სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ჟურნალში არსებულ ჩანაწერებს და პროფესიულ სტუდენტს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითება. ჩანაწერების ნამდვილობას ხელმოწერით ადასტურებს საწარმოს ინსტრუქტორი.
10. დუალური სწავლების შემთხვევაში შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების დამატებით წინაპირობას წარმოადგენს სრულფასოვნად

შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.

6.2. შედეგების დადასტურება საწარმოში

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, აკადემიისთვის ჟურნალი წარმოადგენს სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველს.
2. სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი შუალედურ შეფასებამდე, ასევე პროგრამის დასრულებამდე და პროგრამის განხორციელების ადგილის ცვლილებამდე, ჩანაწერების ჟურნალში არსებული ჩანაწერების შეფასების საფუძველზე, ადასტურებს ან არ ადასტურებს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.
3. აკადემიის დირექტორის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლებელია ნებისმიერ დროს განხორციელდეს ჩანაწერების ჟურნალის წარმოების მონიტორინგი. მონიტორინგის დროს მოწმდება, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული ჟურნალი და აქვს თუ არა ადგილი არასაპატიო მიზეზით ჟურნალის შევსებისგან თავის არიდებას.
4. თუ მონიტორინგის შედეგების საფუძველზე გამოვლინდება, რომ სტუდენტს ჟურნალი არ აქვს შევსებული არასაპატიო მიზეზით, მიეცემა გაფრთხილება, რის შემდეგაც, თუ იგივე ფაქტი განმეორდება მიმდინარე თვის განმვალობაში ორჯერ მაინც, სტუდენტს შეუწყდება სტუდენტის სტატუსი და შესაბამისად, საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებაც. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს სწავლის პერიოდში წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არანაკლებ 2-ჯერ ჩანაწერების ჟურნალის შეუვსებლობა.
5. თუ მონიტორინგის შედეგების საფუძველზე აღმოჩნდება, რომ სტუდენტი ვერ ფარავს პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს 70-%-ს საწარმოში სწავლის დაწყებიდან 7 თვის ვადაში, აკადემია უზრუნველყოფს მის მიერ სპეციალურად შექმნილ სასწავლო გარემოში - C გარემოში აღნიშნული სწავლის შედეგების გავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

6.3. შუალედური გამოცდა

6.3.1. შუალედური გამოცდის ზოგადი პირობები და მიზანი

1. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისას, შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს. შუალედური შეფასება სავალდებულოა. შუალედური შეფასების წესი და პირობები განსაზღვრულია ამ წესით.
2. შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთ-ერთ მექანიზმს.
3. შუალედური გამოცდის მიზანია კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება. შუალედური გამოცდის ჩატარების ვადებს ადგენს აკადემია, საწარმოსთან შეთანხმებით.
4. შუალედური გამოცდის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის კორექტირებისა და გაუმჯობესებისთვის.
5. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა პროფესიული სტუდენტისათვის სავალდებულოა.
6. შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის.
7. შუალედური გამოცდა მოიცავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც მიღწეულია გამოცდის ჩატარებამდე.
8. შუალედური გამოცდა შეიძლება შედგებოდეს როგორც პრაქტიკული, ასევე, თეორიული ნაწილებისგან.
9. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე

დაშვების წინაპირობას.

6.3.2. შუალედური გამოცდის ჩატარება

1. შუალედური შეფასების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის დირექტორის ბრძანებით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წარდგინებით არაუგვიანეს შეფასების ჩატარებამდე ერთი თვით ადრე.
2. სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება ელექტრონული ფორმით, დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.
3. შუალედური შეფასების თემატიკა არ უნდა გასცდეს სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების ჩატარებამდე გავლილ სწავლის შედეგებს.
4. შუალედური შეფასება უნდა იძლეოდეს სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას.
5. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:
   - თეორიული შეფასება;
   - პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
   - პროექტის პრეზენტაცია;
   - სიტუაციის განხილვა და ანალიზი
   - სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;
6. გამოცდის პრაქტიკული ნაწილი გრძელდება არა უმეტეს 3 საათისა. სტუდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მას შეუძლია ზეპირად ან წერილობით სამუშაოს დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების და მასალების შერჩევა და დავალების შესრულება. ჩართული უნდა იყოს აგრეთვე შრომის დაცვის, შრომის უსაფრთხოების, ბუნებისა და გარემოს დაცვის, ენერგიისა და მასალების რაციონალური გამოყენების საკითხები.
7. თეორიული გამოცდის დავალებების შესრულების ხანგრძლივობა გათვალისწინებულია არა უმეტეს 90 წუთისა.
8. შუალედური შეფასების შედეგები უნდა ეცნობოს სტუდენტს და პროგრამის განმახორციელებელ მხარეებს არაუგვიანეს 10 დღისა.

6.3.3. შუალედური შეფასების ფორმა, შუალედური შეფასების კომისია და შედეგების გასაჩივრება

1. შუალედური შეფასების ფორმა დაზუსტდება დირექტორის შესაბამისი ბრძანებით, შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას აკადემიის მიერ დადგენილი წესით ან შუალედური შეფასების კომისიის ჩართულობით. შუალედური შეფასების დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს აკადემია, სასწავლო საწარმოსთან ერთად.
2. სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება აკადემიაში მინიმუმ სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე.
3. შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.
4. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში.
5. კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი.
6. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
7. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით.
8. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს.
9. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

10. კომისიის კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები.
11. რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს აკადემიის ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი.
12. შუალედური შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტებს მიეწოდება უკუკავშირი. სტუდენტს უფლება აქვს შუალედური გამოცდის შედეგები მისი გაცნობიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადების საფუძველზე გაასაჩივროს.
13. აკადემია ვალდებულია 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.
14. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, აკადემიის კომპეტენციის ფარგლებში.

6.3.4. შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შედეგები

1. შუალედური გამოცდის შედეგები არ წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს (გარდა ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა) და არ მოქმედებს სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებაზე.
2. საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ამ მუხლით დადგენილი პირობებითა და წესით მონაწილეობა მიიღოს განმეორებით შუალედურ შეფასებაში.
3. სტუდენტი განმეორებით შუალედურ გამოცდაში მონაწილეობის მიღების მიზნით განცხადებით, სადაც უნდა მიეთითოს შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის მიზეზ(ებ)ი, თანდართულ დამადასტურებელ საბუთებთან ერთად (ასეთს არსებობის შემთხვევაში), მიმართავს აკადემიის დირექტორს. აკადემიის დირექტორი 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის განცხადების დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ, რაზეც 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ეცნობება სტუდენტს.
4. განმეორებით შუალედურ გამოცდასთან დაკავშირებით მოქმედებს იგივე წესები, რაც გათვალისწინებულია პირველადი შუალედური გამოცდის ჩატარებაზე.
5. არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, შესაძლოა გახდეს სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
6. განმეორებითი შეფასების ვადები განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ბრძანებით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის წარდგინებით, ამ წესის ამ მუხლით დადგენილ ვადებში და წესით.
7. საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:
    - ჯანმრთელობის მდგომარეობა (რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტით);
    - ოჯახური მდგომარეობა (ოჯახის წევრის გარდაცვალება);
    - ფორსმაჟორული გარემოება.

6.4. საკვალიფიკაციო გამოცდა

1. საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ზოგადი წესები და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად.
2. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა (სავალდებულოობის შესაბამისად).

დუალური სწავლების შემთხვევაში შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის დაშვების დამატებით წინაპირობას წარმოადგენს სრულფასოვნად შევსებული ჩანაწერების ჟურნალი.

3. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება თეორიული და პრაქტიკული გამოცდის სახით და მათი ჩატარება ხდება შესაბამის გარემოში სხვადასხვა დღეს.
4. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
5. გამოცდის პრაქტიკული ნაწილი გრძელდება არაუმეტეს 4 საათისა. სტუდენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია სამუშაოს დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების და მასალების შერჩევა და დავალების შესრულება. ასევე, პრაქტიკულ გამოცდაზე უნდა აჩვენოს, რომ ის ერკვევა საწარმოო პროცესების ურთიერთკავშირებში და შეუძლია მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენება. ამასთან, ჩართული უნდა იყოს აგრეთვე შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, ენერგიისა და მასალების რაციონალური გამოყენების საკითხები.
6. პრაქტიკულ გამოცდაზე დაგეგმვისთვის სტუდენტს ეძლევა 30-40 წუთი, პრაქტიკული დავალების შესასრულებლად მაქსიმუმ 3 საათი, შეჯამებისთვის - 30-40 წუთი.
7. წერილობითი გამოცდა ტარდება თეორიულ საკითხებში.
8. თეორიული გამოცდის დავალებების შესრულების ხანგრძლივობა გათვალისწინებულია არაუმეტეს 90 წუთისა. საგამოცდო საკითხებში შეტანილი უნდა იყოს კითხვები და დავალებები, რომლებიც პრაქტიკულ მაგალითებთან/შემთხვევებთან არის დაკავშირებული.
9. თეორიული გამოცდა ჩაბარებულად ითვლება თუ პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურდა სწავლის შედეგი.
10. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება საკვალიფიკაციო გამოცდაზე, დამატებით განესაზღვრება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი, არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.
11. დამატებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი აღარ დაიშვება საკვალიფიკაციო გამოცდაზე და მასზე გაიცემა ცნობა გავლილი პროგრამის შესახებ.
12. საკვალიფიკაციო გამოცდა სავალდებულოა ყველა პროგრამის სტუდენტისთვის. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.

6.5. საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო კომისია

1. საგამოცდო კომისიის შემადგენლობას და მისი საქმიანობის წესს ადგენს აკადემიის დირექტორი, საწარმოსთან შეთახმებით.
2. საგამოცდო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს აკადემიის წარმომადგენელი, პარტნიორი საწარმოს წარმომადგენელი, ასევე დირექტორის მიერ განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ი.
3. საგამოცდო საკითხების შედგენას უზრუნველყოფს კომისია.
4. საგამოცდო საკითხები იდენტურია ყველა სტუდენტისთვის.

მუხლი 7. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია;

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა შეფასებისთვის პროფესიული მასწავლებლის მიერ შედგენილი შეფასების ინსტრუმენტი გადის სავალდებულო ვალიდაციას სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან. (ფორმა - დანართი N1.5).

2. ვალიდაციის მიზნით, შეფასების ინსტრუმენტის პროექტი შეფასების განხორციელებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა უნდა წარედგინოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს.
3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი განიხილავს შეფასების ინსტრუმენტის პროექტს და ფორმასთან შესაბამისობას ადასტურებს ხელმოწერით და თარიღით ან თავისი შენიშვნებით და წინადადებებით უბრუნებს ინსტრუმენტის შემდგენელს მისი მიღებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა;
4. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში დამატებით ჩართოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები, სხვა პროფესიული მასწავლებლები ან დამსაქმებლები;
5. შეფასების მიზნებისთვის ნებადართულია მხოლოდ შეფასების ვალიდირებული ინსტრუმენტის გამოყენება.

მუხლი 8. ვერიფიკაცია

1. ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი.
2. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დარგის სპეციალისტის ჩართულობით, სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
3. ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება აკადემიაში მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმის გათვალისწინებით.

მუხლი 9. დასწრება საკონტაქტო საათებზე

1. აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ საათებზე და ასევე პრაქტიკის კომპონენტზე დაწრება სავალდებულოა;
2. თეორიულ კომპონენტში საკონტაქტო საათებზე სტუდენტის დასწრება აღირიცხება, თუმცა არ ფასდება.
3. აკადემიაში დამტკიცებულია დასწრების აღრიცხვის ფორმა (დანართი N1.6), რომლის გამოყენებაც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პროფესიული მასწავლებლისთვის აუცილებელია.

მუხლი 10. შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა

შეფასების ინსტრუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, დონე / საფეხური;
- მოდულის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი და კრედიტის რაოდენობა;
- შეფასებისთვის განკუთვნილი დრო;
- დასადასტურებელი სწავლის შედეგი / შესრულების კრიტერიუმი;
- შეფასების მიმართულება;
- შეფასების ინსტრუმენტი;
- აღწერა;
- შეფასების ინსტრუქცია და ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი;
- დამატებითი პირობები;
- შინაარსი;
- შეფასების სქემა;
- მტკიცებულება;

- სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო (A,B,C);
- სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო ტექნიკური ინვენტარი, მასალა, ნედლეული;
- განმეორებითი შეფასების პირობები;
- შრომის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის რეკომენდაციები;
- მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.

მუხლი 11. შესრულების მტკიცებულება

1. შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ მოდულში სწავლის შედეგის არსებული სახით დადასტურებას;
2. შესრულების მტკიცებულებები უნდა უზრუნველყოფდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას;
3. შესრულების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც შეგროვებულ მტკიცებულებებს საბოლოოდ გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს;
4. პროგრამის ხელმძღვანელი შეფასების მტკიცებულებებს ინახავს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში. (დანართი N1.4.)

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგ(ებ)ის შეფასების გასაჩივრების მექანიზმები

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მისთვის არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების უფლებით;
2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხებიდან გაასაჩივროს ორი კომპონენტი:
   2.1. შეფასების ობიექტურობა და მიღებული შედეგი;
   2.2. შეფასების პროცედურა.
3. შეფასების პროცედურის გასაჩივრება შესაძლებელია წერილობითი ფორმით, პროფესიული მასწავლებლის მიერ პროფესიული სტუდენტისთვის შეფასების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
4. პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილი საჩივარი უნდა იყოს არგუმენტირებული, დასაბუთებული და იკვეთებოდეს თუ რას ასაჩივრებს სტუდენტი, შეფასების ობიექტურობას და შედეგს თუ შეფასების პროცედურას;
5. არ განიხილება ისეთი წერილობითი საჩივარი, რომელშიც არ იკვეთება გასაჩივრების კონკრეტული ფაქტორები, კერძოდ, არ არის დასაბუთებული თუ რას ასაჩივრებს სტუდენტი ან/და ატარებს ზოგად ხასიათს. ასეთი საჩივარი რჩება განუხილველად. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ აღარ საჩივრდება;
6. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი საჩივარი წარუდგინოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, რომელიც გასაცნობად და შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცემა შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს;
7. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია საჩივარი განსახილველად გადასცეს შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე სხვა პროფესიულ მასწავლებელს, რომელიც განიხილავს არსებული შეფასების ობიექტურობას და შესაბამისობას. სხვა შემთხვევაში, აკადემიის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით განხილვის შესახებ;
8. ზეპირი გამოკითხვის შეფასების გასაჩივრებისას, ასევე შესაძლოა, გამოყოფილ იქნას აკადემიის შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, ან აკადემიის დირექტორის გადაწყვეტილებით შეიქმნას კომისია, რომელიც ჩაატარებს ხელახალ ზეპირ გამოკითხვას, ასეთ შემთხვევაში სხვა პროფესიული განათლების მასწავლებლის ან კომისიის მიერ

მიღებული გადაწყვეტილება შეფასებასთან დაკავშირებით განმეორებით გასაჩივრებას აღარ დაექვემდებარება.

9. შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში;
10. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, აღნიშნულის შემდგომ იგი უფლებამოსილია შეფასება შეცვალოს ან დატოვოს ძალაში, თუ სტუდენტის საჩივარი უსაფუძვლოა;
11. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელი/კომისიის თავმჯდომარე, აკადემიის დირექტორის თანხმობით, ცვლის მიღებულ შეფასებას;
12. საჩივრის განხილვის შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 13. შეფასების გაფორმება

1. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები ფორმდება უწყისით (დანართი N1.2) უწყისის შევსების წესის შესაბამისად (დანართი N1.3);
2. სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტები (უწყისები) ინახება უვადოდ.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან.
2. შპს „თეგეტა აკადემიის“ პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების წესის“ გაუქმება, მასში ცვილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.

დანართი N1.1

პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი

_____

(პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების დასახელება)

_____

(პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)

_____

(პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი)

პროფესიული სტუდენტის შესახებ ინფორმაცია[1]

სახელი და გვარი	*პირადი ნომერი*	*დაბადების თარიღი*
ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი	*ტელეფონის ნომერი*	*ელექტრონული ფოსტა*

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში სწავლის პერიოდი

სასწავლო საწარმოს დასახელება	სწავლის დაწყებისა და დასრულების დრო	
	დაიწყო:	
	დასრულდა:	
	დაიწყო:	
	დასრულდა:	
	დაიწყო:	
	დასრულდა:	

[1] წინამდებარე ველები ივსება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს მიერ ან მასში ინფორმაცია აისახება ავტომატურად, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან.

სასწავლო საწარმოსა და სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორის შესახებ ინფორმაცია[2]

სასწავლო საწარმოს დასახელება	*სასწავლო პროცესის წარმართვის ადგილ(ებ)ი*	*საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელფოსტა)*
სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორ(ებ)ის სახელი და გვარი	*პოზიცია სასწავლო საწარმოში*	*სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელფოსტა)*
სასწავლო საწარმოს დასახელება	*სასწავლო პროცესის წარმართვის ადგილ(ებ)ი*	*საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელფოსტა)*
სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორ(ებ)ის სახელი და გვარი	*პოზიცია სასწავლო საწარმოში*	*სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელფოსტა)*
სასწავლო საწარმოს დასახელება	*სასწავლო პროცესის წარმართვის ადგილ(ებ)ი*	*საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელფოსტა)*
სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორ(ებ)ის სახელი და გვარი	*პოზიცია სასწავლო საწარმოში*	*სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელფოსტა)*

[2] ივსება სასწავლო საწარმოს მიერ. პროფესიული სტუდენტის რამდენიმე სასწავლო საწარმოში სწავლების შემთხვევაში, წინამდებარე ველში შეიტანება ინფორმაცია თითოეული სასწავლო საწარმოსა და მისი ინსტრუქტორის შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება უფლებამოსილია დაამატოს იმდენი ველი, რამდენ სასწავლო საწარმოშიც ისწავლის პროფესიული სტუდენტი.

სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგები[3]

მოდულების დასახელება	სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	სწავლის შედეგი დადასტურდა/ არ დადასტურდა
			☐ დიახ ☐ არა
			☐ დიახ ☒ არა
			☐ დიახ ☐ არა
			☐ დიახ ☐ არა
			☐ დიახ ☐ არა
			☐ დიახ ☐ არა
			☐ დიახ ☐ არა
			☐ დიახ ☐ არა
			☐ დიახ ☐ არა
			☐ დიახ ☐ არა

/_____/

სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორის ხელმოწერა

_____

ხელმოწერის თარიღი

[3] წინამდებარე ნაწილში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია დაამატოს ველები და ასახოს პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო საწარმოში დასადასტურებელი ყველა მოდულისა და სწავლის შედეგის შესახებ ინფორმაცია.

პროფესიული სტუდენტის ჩანაწერები[4]

ერთკვირიანი/ერთთვიანი[5] პერიოდის დაწყების და დასრულების თარიღი:

თარიღი (რიცხვი/თვე/ წელი)	სამუშაო ადგილზე მისვლის დრო	სამუშაო ადგილის დატოვების დრო	შესაბამისი დღის განმავლობაში სამუშაო ადგილზე შესრულებული საქმიანობა	სამუშაო გარემო და გამოყენებული რესურსი/ ინსტრუმენტები[6]

☐ გავეცანი პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებულ ჩანაწერების ჟურნალსა და ვეთანხმები პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული ჩანაწერების სისრულესა და მართებულობას

/_____/ _____

სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორის ხელმოწერა

ხელმოწერის თარიღი

☐ გავეცანი პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებულ ჩანაწერების ჟურნალსა და არ ვეთანხმები შემდეგს:

_____

_____

_____

/_____/ _____

ინსტრუქტორის ხელმოწერა

ხელმოწერის თარიღი

---

[4] წინამდებარე ნაწილში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია დაამატოს ველები პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების დადასტურებისთვის საჭირო თითოეული თვისთვის/კვირისთვის.

[5] სასწავლო საწარმო უფლებამოსილია თავად აირჩიოს წარმოდგენილი ველი ერთ თვიან პერიოდზე იქნება თუ ერთ კვირიანზე. აღნიშნულზე გადაწყვეტილება სასწავლო საწარმომ უნდა მიიღოს იმის მიხედვით, რამდენ ხანში მიაჩნია საჭიროდ პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების შემოწმება. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული უნდა დადასტურდეს სულ მცირე თვეში ერთხელ.

[6] წინამდებარე ველის შევსება ნებაყოფლობითია პროფესიული სტუდენტისთვის.

ერთკვირიანი/ერთთვიანი პერიოდის დაწყების და დასრულების თარიღი:

თარიღი (რიცხვი/ თვე/წელი)	სამუშაო ადგილზე მისვლის დრო	სამუშაო ადგილის დატოვების დრო	შესაბამისი დღის განმავლობაში სამუშაო ადგილზე შესრულებული საქმიანობა	სამუშაო გარემო და გამოყენებული რესურსი/ ინსტრუმენტები[7]

☐ გავეცანი პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებულ ჩანაწერების ჟურნალსა და ვეთანხმები პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებული ჩანაწერების სისრულესა და მართებულობას

/_____/ _____

სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორის ხელმოწერა

ხელმოწერის თარიღი

☐ გავეცანი პროფესიული სტუდენტის მიერ შევსებულ ჩანაწერების ჟურნალსა და არ ვეთანხმები შემდეგს:

_____

_____

_____

/_____/ _____

სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორის ხელმოწერა

ხელმოწერის თარიღი

[7] წინამდებარე ველის შევსება ნებაყოფლობითია პროფესიული სტუდენტისთვის.

პროფესიული სტუდენტის თვითრეფლექსია და სხვა ჩანაწერები

დანართი N1.2

შეფასების უწყისის ფორმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
მოდულის დასახელება:
მოდულის სარეგისტრაციო ნომერი:
განხორციელების პერიოდი:
მოდულის განმახორციელებელი:

N	პროფესიული სტუდენტის სახელი გვარი	სწავლის შედეგი N1	სწავლის შედეგი N2	სწავლის შედეგი N3
1				
2		არ გამოცხადდა		
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				
13				
14				
15				
16				
სწავლის შედეგის დადასტურების თარიღი:				
მტკიცებულება:				
შემფასებლის ხელმოწერა:				

დანართი N1.3

უწყისის შევსების და რეგისტრაციის წესი

1. უწყისი გამოიყენება პროფესიული სტუდენტის შეფასების გაფორმების მიზნით.
2. „შემფასებელში“ იწერება იმ პირის ინიციალი და გვარი, ვინც განახორციელა შეფასება.
3. უწყისის ჩაბარების ვალდებულება ეკისრება შემფასებელს.
4. უწყისით გაფორმებული შეფასება ძალაში შედის მისი საქმისწარმოების სპეციალისტისთვის ჩაბარების და საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ უწყისისთვის ნომრის მინიჭების მომენტიდან.
5. საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ უწყისი რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში. ნუმერაცია შედგება სამი ციფრისაგან, რომელიც წარმოადგენს უწყისის რიგით ნომერს. რეგისტრაცია ყოველი ახალი კალენდარული წლიდან იწყება თავიდან.
6. შეფასების მტკიცებულებები და შეფასების ინსტრუმენტები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები ინახება უვადოდ.

დანართი N1.4

შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, შენახვის წესი და პროცედურები

1. შეფასებიდან მაქსიმუმ სამ სამუშაო დღეში პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლის შედეგის შეფასების უწყისის ჩაბარებას საქმისწარმოების სპეციალისტისთვის და საჭიროების შემთხვევაში გაიცემა განმეორებითი სწავლის შედეგის შეფასების უწყისი;
2. განმეორებითი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის დასრულებიდან მაქსიმუმ ორი კვირის პერიოდში (10 სამუშაო დღე) უზრუნველყოფს საქმისწარმოების სპეციალისტისთვის პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის განმეორებითი შეფასების უწყისის ჩაბარებას;
3. მოდულის ფარგლებში მოპოვებულ პროფესიულ სტუდენტების შეფასების მტკიცებულებებს ინახავს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
4. ნებისმიერი სახის მტკიცებულება (წერილობითი ან/და ზეპირი გამოკითხვის ან/და პრაქტიკული დავალების ფარგლებში შექმნილი პროდუქტი/მტკიცებულება) საბოლოოდ ინახება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში;
5. შესაძლოა ზეპირი გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების ფურცლები წარმოდგენილი იყოს ჯგუფისათვის ერთიანად და ინახებოდეს საერთო პორტფოლიოში, არსებობის შემთხვევაში;
6. მოდულის მიმდინარეობის პროცესში შეფასების მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მასწავლებელი, გარდა დუალური პროგრამის პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალისა, რომლის შენახვაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს;
7. პროფესიული სტუდენტის მტკიცებულებების შენახვაზე პასუხისმებელია პროგრამის ხელმძღვანელი;
8. შეფასების უწყისის შენახვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოების სპეციალისტი.
9. პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იბარებს მტკიცებულებებს რაოდენობრივად შეფასების უწყისის შესაბამისად;
10. შეფასების მტკიცებულება უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციასა და რეკვიზიტებს:
    - აღნიშვნა: შედეგ(ებ)ი დადასტურდა/ არ დადასტურდა;
    - პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელმოწერა;
    - პროფესიული სტუდენტის ხელმოწერა;
11. პროფესიული სტუდენტის შეფასებიდან გამომდინარე სწავლის შეწყვეტის საკითხის დადგომის

შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს დირექტორის ინფორმირებას შეფასების უწყისების ჩაბარებიდან გონივრულ ვადაში;

12. პროგრამების შეფასების მტკიცებულებების (სტუდენტთა ნამუშევრები) შენახვის ვადად განსაზღვრულია შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წელი;
13. პროფესიული სტუდენტის შეფასების თაობაზე ინფორმაციის გაცემის პროცესში აკადემია ვალდებულია დაიცვას პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები, მოთხოვნის შემთხვევაში გაკეთდეს ამონაწერი შესაბამისი დოკუმენტებიდან.

დანართი N1.5

TEGETA ACADEMY
თეგეტა აკადემია

შეთანხმებულია
სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსთან:
_____
თარიღი: _____

შეფასების ინსტრუმენტი პროგრამისთვის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, დონე / საფეხური	
მოდულის სახელწოდება, სარეგისტრაციო N და კრედიტის რაოდენობა	
შეფასებისთვის განკუთვნილი დრო	
დასადასტურებელი სწავლის შედეგი / შესრულების კრიტერიუმი	
შეფასების მიმართულება:	
შეფასების ინსტრუმენტი	
აღწერა	
შეფასების ინსტრუქცია და ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი	
დამატებითი პირობები	
შინაარსი	
შეფასების სქემა	
მტკიცებულება	

სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო (A,B,C)	
სწავლის შედეგის დადასტურებისთვის საჭირო ტექნიკური ინვენტარი, მასალა, ნედლეული	<table><tr><td>დასახელება</td><td>რაოდენობა</td><td>საზომი ერთ.</td><td>სასწავლო გარემოზე/ პროფ. სტუდენტზე</td></tr><tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr></table>
განმეორებითი შეფასების პირობები	
შრომის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის რეკომენდაციები	
მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი	

დანართი N1.6

საკონტაქტო საათზე დასწრების ფურცელი

მოდულის დასახელება: ----------

#	პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი	თარიღი --/--/----	თარიღი --/--/----	თარიღი --/--/----	თარიღი --/--/----	თარიღი --/--/----	თარიღი --/--/----
1.							
2.							
3.							
4.							
5.							
6.							
7.							
8.							
9.							
10.							
11.							
12.							
13.							
14.							
15.							
პროფესიული განათლების მასწავლებელი: _____							

დანართი N1.7

მოდულის დასახელება და შეფასების მიმართულება (შესაბამისი ნუმერაციის მითითებით)		ინსტრუმენტის გარეგნული ვალიდობა	ინსტრუმენტის შინაარსობრივი ვალიდობა	შენიშვნა
1.	შეფასების ინსტრუმენტი შეესაბამება მოდულში განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას			
2.	განსაზღვრულია შესაფასებელი სწავლის შედეგები			
3.	თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია შეფასების კრიტერიუმები			
4.	შესასრულებელი დავალებები გასაგები ენითაა აღწერილი			
5.	დავალებების შესასრულებლად მოცემულია ზუსტი ინსტრუქტაჟი			
6.	განსაზღვრულია დრო დავალებების შესასრულებლად.			
	გამოყოფილი დრო საკმარისია დავალების შესასრულებლად			
7.	აღწერილია შეფასებისათვის საჭირო გარემო და პირობები, ტექნიკური აღჭურვილობა/მასალები/ ინვენტარი			
8.	საჭიროების შემთხვევაში აღწერილია ის დამატებითი პირობები, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების პროცესში (მაგ: სახელმძღვანელოების, ლექსიკონების ან კალკულატორების გამოყენება, თანამშრომლობა სხვა პროფესიულ სტუდენტებთან შეფასების პროცესში და სხვ. სარგებლობა.) ყოველივე აღნიშნული საკმარისია, არაა ზედმეტად შემზღუდავი ან ზედმეტად თავისუფალი			
9.	დადგენილია ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი, თუ რა შემთხვევაში შეფასდება შესრულებული სამუშაო დადებითად			
	შეფასების ინსტრუმენტში სწორადაა განსაზღვრული ხარვეზების დასაშვები ნორმა/შესრულების მინიმალური ხარისხი			
10.	შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ინფორმაციას განმეორებითი შეფასების შესაძლებლობის შესახებ			
11.	განსაზღვრულია, თუ რა სახის მტკიცებულებით იქნება უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება			
12.	კითხვათა/დავალებათა შინაარსი ფარავს შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრულ ყველა შეფასების კრიტერიუმსა და სწავლის შედეგს			

13.	კითხვათა/დავალებათა რაოდენობა საკმარისია შეფასების ინსტრუმენტით განსაზღვრული ყველა შეფასების კრიტერიუმისა და სწავლის შედეგის დასადასტურებლად			
შენიშვნების შეჯამება:				

შემოწმების თარიღი:

ხელმოწერა: